



გალტი & თავართი

შპს-ით შვისაკლამბლთბებს

ნელელეულის ბაზრის ყოველთვიური მიმოხილვა

12 თებერვალი 2024

ევა ბოჭორიშვილი

კვლევის დეპარტამენტის უფროსი | evabochorishvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.8036

კახაბერ სამყურაშვილი

სექტორული კვლევის უფროსი | ksamkurashvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.4298

სერგი ყურაშვილი

უფროსი ანალიტიკოსი | s.kurashvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.3654



ნედლეულის ფასების დინამიკა

ნედლეული	ფასი	ცვლილება, თვე/თვე*	ცვლილება, წ/წ	ფასის ცვლილება 2021 წლის იანვრიდან დღემდე
ამონიუმის ნიტრატი აშშ დოლარი/ტონა	187.5	+4.2%	-35.3%	
ნავთობი (brent) აშშ დოლარი/ბარელი	81.7	+6.1%	-3.3%	
სპილენძი აშშ დოლარი/ტონა	8,500.5	+0.4%	-7.6%	
ფეროსილიკონი (ჩინეთი) აშშ დოლარი/ტონა	1,335.0	0.0%	-19.8%	
ფეროსილიკონი (ევროპა) აშშ დოლარი/ტონა	1,573.3	+13.8%	-23.8%	
ოქრო აშშ დოლარი/უნცია	2,039.5	-1.1%	+5.8%	
ბუნებრივი აირი აშშ დოლარი/მვტ სთ	32.6	+1.2%	-51.3%	
ხორბალი აშშ დოლარი/ტონა	235.0	-10.4%	-19.2%	

წყარო: ბლუმბერგი

*თ/თ გულისხმობს თვის ბოლო მონაცემების ცვლილებას



ენერჯეტიკა

ნავთობი

2024 წლის იანვარში ნავთობის ფასი თვიურად 6.1%-ით გაიზარდა, რაც 2023 წლის სექტემბრის შემდეგ პირველი თვიური მატება იყო. ინტუიციურად, 7 ოქტომბერს ისრაელზე ჰამასის თავდასხმასა და მომდევნო თვეებში თანმიმდევრულ ესკალაციებს ფასები უნდა გაეზარდა. ჰუსიტები და ირანის მიერ დაფინანსებული სამხედრო დაჯგუფებები წითელ ზღვაში გადამზიდებზე თავდასხმას განაგრძობენ და გასული თვის ბოლოს იორდანიაში აშშ-ს ბაზასაც შეუტყეს, რასაც რამოდენიმე ამერიკელი ჯარისკაცი ემსხვერპლა. მიუხედავად დაძაბულობისა, ისრაელი-ჰამასის ომის დაწყების შემდეგ ნავთობის ფასი 3.4%-ითაა შემცირებული. J.P. Morgan-ის მიხედვით, ამ ეტაპზე ნავთობის ფასებში გეოპოლიტიკური რისკ-პრემიუმი არ არის ასახული, რადგან არსებული მიწოდება საკმარისია მიმდინარე შოკების დასაძლევად.

გასულ თვეებში ნავთობის მიწოდების მნიშვნელოვანი შეფერხება არ დაფიქსირებულა და არც ახლო პერიოდშია მსგავსი რამ მოსალოდნელი. ამ ეტაპზე წითელი ზღვაში ნავთობის გადაზიდვა 20%-ით არის შემცირებული და არსებული პრობლემები მეტ-ნაკლებად მარტივად იჭრება. მეტიც, J.P. Morgan-ის მიხედვით, გრძელი მარშრუტის არჩევა და აფრიკის კონტინენტის შემოვლა ერთ ბარელ ნავთობზე ფასს საშუალოდ მხოლოდ \$2-ით ზრდის, რადგან არაბული სახელმწიფოები მეტწილად ნავთობსადენით გადაზიდვას იყენებენ. დამატებით, OPEC-ის არაწევრ ქვეყნებში გაზრდილ წარმოებას და OPEC+-ის ქვეყნებში არსებულ გამოუყენებელ რეზერვებს (წარმოების ნებაყოფლობით შემცირების გამო) მოთხოვნის მოულოდნელი ზრდის ან/და მიწოდების შემცირების დაფარვა მარტივად შეუძლიათ.


შესაბამისად, იანვრის ზრდის განმაპირობებელი ფაქტორი არა ახლო აღმოსავლეთის კრიზისი, არამედ აშშ-ში მოულოდნელი ცივი ამინდები და გაზრდილი ეკონომიკა იყო. ჩრდილოეთ დაკოტასა და ტეხასში ძლიერმა ყინვებმა წარმოება დღეში დაახლოებით ერთი მილიონი ბარელით შეამცირა. დამატებით, ამერიკის ეკონომიკის რეალური ზრდა მე-4 კვარტალში 3.3% დაფიქსირდა, რაც მოსალოდნელ 2%-ზე მეტია და ინვესტორების მხრიდან ნავთობპროდუქტების მოთხოვნის მოლოდინზე დადებითად მოქმედებს.

გრაფიკი 1: ნავთობის ფასი (BRNOO), აშშ დოლარი/ბარელი



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 2: ნავთობპროდუქტების იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ბენზინის და დიზელის იმპორტის ღირებულება წლიურად 16.2%-ით შემცირდა 2023 წელს, რაც გამოიწვია შედარებით იაფიანი საიმპორტო ბაზრების ათვისებამ.

წყარო: საქსტატი



ენერჯეტიკა


ბუნებრივი აირი

2024 წლის იანვარში ბუნებრივი აირის ფასი თვეურად 1.2%-ით გაიზარდა. მცირე ზრდა ერთმანეთის საპირწონედ მოქმედი დადებითი და უარყოფითი ფაქტორების შედეგია - შედარებით თბილი ამინდი და დიდი მარაგები ევროპაში და აშშ-ს მიერ LNG-ის (გათხევადებული ბუნებრივი აირი) ექსპორტის ლიცენზიების განხილვის დროებითი შეჩერება. ნავთობის მსგავსად, ახლო აღმოსავლეთის ექვეტი ბუნებრივი აირის ფასებზეც ლიმიტირებული იყო იგივე მიზეზების გამო - მოთხოვნის მოულოდნელი ზრდის ან/და მიწოდების პრობლემების შემთხვევაში არსებული მარაგები საკმარისია მათ გასანეიტრალებლად.


იანვრის განმავლობაში ბუნებრივი აირის ფასები თანდათანობით შემცირდა ერთ მეგავატ-საათზე \$38.3-დან \$29.3-მდე. კლება ევროპისა და აზიის მარაგების გაუმჯობესებით მაღალი მაჩვენებლით იყო გამოწვეული - 78% ევროპაში და ბოლო ხუთი წლის თითქმის პიკური მაჩვენებელი სამხრეთ კორეასა და იაპონიაში. მოსალოდნელზე მაღალი ტემპერატურის ფონზე, პოტენციურ მოთხოვნასთან გამკლავება პრობლემას არ წარმოადგენს. დამატებით, ყატარი (LNG-ის ერთ-ერთი უდიდესი ექსპორტიორი) აზიური ქვეყნებისათვის ნედლეულის სანდო მიწოდებელია, თუმცა ევროპისათვის მიწოდება მეტ ლოჯისტიკურ პრობლემებთანაა დაკავშირებული. სამაგიეროდ, აშშ გახდა LNG-ით ევროპის უმსხვილესი მომარაგებელი და 2018 წელთან შედარებით ექსპორტის მოცულობა გაასამმაგა. მიუხედავად ამისა, ბაიდენის ადმინისტრაციის მიერ ექსპორტის ლიცენზიების განხილვის დროებითა შეჩერებამ ბაზარზე მცირე კორექტირებები შეიტანა.

სხვადასხვა ანალიტიკური წყაროს ინფორმაციით, არჩევნების წელი ბაიდენს უბიძგებს დააბალანსოს კლიმატის აქტივისტების (TikTok-ზე თავიანთი მილიონობით გამომწერი პოტენციური ამომრჩევლით) და ევროპელი სტრატეგიული პარტნიორების/იმპორტიორების ინტერესები. თეთრი სახლის თანახმად, ევროპის LNG-ით მომარაგებას საფრთხე არ ემუქრება, რადგან არსებული ლიცენზიატები მოთხოვნას სრულად დააკმაყოფილებენ. Shell-ის CEO-ს განცხადებით, მსგავსი გადაწყვეტილებები მოკლე ან/და საშუალოვადიან პერიოდში შესაძლოა LNG-ის მიწოდებას არ აზიანებდეს, თუმცა გრძელვადიან პერიოდში ამცირებს ამ ნედლეულისადმი ნდობას. თეთრი სახლის განცხადების შემდეგ ბუნებრივი აირის ფასი ევროპაში დაახლოებით 12.6%-ით გაიზარდა.

გრაფიკი 3: ბუნებრივი აირის ფასი (ICE Endex Dutch TTF), აშშ დოლარი/მვტ სთ



გრაფიკი 4: ბუნებრივი აირის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ბუნებრივი აირის იმპორტის ღირებულება წლიურად 3.2%-ით შემცირდა 2023 წელს, მოცულობა კი თითქმის იგივე დარჩა (-0.8% წ/წ) - 3.1 მილიონი კუბური მეტრი.



ძვირფასი ლითონები


ოქრო

2024 წლის იანვარში ოქროს ფასი თვიურად 1.1%-ით შემცირდა. მიუხედავად მცირე კლებისა, მიმდინარე წელს ის ფსიქოლოგიურ ნიშნულზე, \$2,000-ზე დაბლა არ ჩამოსულა. UBS-ის ანალიტიკოსების მიხედვით, გასული წლის რეკორდულ ზრდაში ჩინელი საცალო ინვესტორების წვლილი არასაკმარისად იყო შეფასებული, რომლებმაც ადგილობრივი ბირჟის და უძრავი ქონების ბაზრის მერყეობის ფონზე ოქროს მიმართეს რისკების ჰეჯირებისათვის და მასზე მოთხოვნა გაზარდეს. მსოფლიო ოქროს კავშირის (WGC) მიხედვით, ჩინეთი ოქროს ფასის განმსაზღვრელი ფაქტორი არ ყოფილა, მაგრამ ეხმარებოდა მას მაღალი ნიშნულის შენარჩუნებაში.


ოქროს სხვა მნიშვნელოვანი მომხმარებლების - ცენტრალური ბანკების მხრიდან 2023 წლის მე-4 კვარტალში მოთხოვნა ოქროზე შემცირდა 229მტ-მდე 2022 წლის მე-4 კვარტალში დაფიქსირებული 382მტ-დან. წლიურ ქრილში, მათი შესყიდვები 4%-ით შემცირდა 1,037მტ-მდე 2023 წელს. მიუხედავად მცირე კლებისა, ინვესტორების განწყობაზე შესაძლოა ამ ფაქტს დიდი გავლენა ჰქონდეს, რადგან ცენტრალური ბანკების შესყიდვები გასული ორი წლის განმავლობაში ოქროს ფასის ზრდის მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი იყო.

დამატებით, FED-ის მმართველის, ჯერომ პაუელის განცხადებით, განაკვეთების კლება მარტში მოსალოდნელი არ არის. მიუხედავად ცენტრალური ბანკების ამ ეტაპზე უარყოფითი გავლენებისა, უკლ სტრუქტურა ძვირფასი მეტალის ფასის ზრდას ელის 2024 წელს, რაც წლის განმავლობაში განაკვეთების შემცირებითა და ცენტრალური ბანკების მიერ ოქროს მოსალოდნელი შესყიდვებით იქნება განპირობებული.

გრაფიკი 5: ოქროს ფასი, აშშ დოლარი/უნცია



გრაფიკი 6: ოქროს ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



ოქროს ექსპორტის ღირებულება წლიურად 8.9%-ით გაიზარდა 2023 წელს, რაც ფასების მატებითაა გამოწვეული, რადგან მოცულობა წლიურად მხოლოდ 1.5%-ითაა გაზარდილი 2.7 ტონამდე.



სოფლის მეურნეობა


ამონიუმის ნიტრატი

2024 წლის იანვარში ამონიუმის ნიტრატის ფასი თვიურად 4.2%-ით გაიზარდა. მიუხედავად მცირე ზრდისა, ის წლიურად 35.3%-ითაა შემცირებული, რაც მისი წარმოების ძირითადი კომპონენტის - ბუნებრივი აირის ფასების კლებითაა განპირობებული. როგორც ჩვენს წინა მიმოხილვებში იყო აღნიშნული, ფასები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია ერთმანეთის საპირწონედ მოქმედი ფაქტორებით. ერთის მხრივ, ჩინეთი საკუთარი მარაგების შევსებაზე ორიენტირებული, რაც პოტენციურ მიწოდებას ამცირებს. მეორეს მხრივ, დაბალი ფასების ფონზე, ინდოეთის მთავრობა სასუქებზე სუბსიდირების შემცირებას აპირებს პირველი აპრილიდან. ამ განცხადების ფონზე, სასუქების მწარმოებელი ინდური კომპანიების აქციების ფასები შემცირდა, რადგან შესაძლოა აგრო ქიმიკატებზე მოთხოვნა შემცირდეს.

ხორბალი

2024 წლის იანვარში ხორბლის ფასი თვიურად 10.4%-ით შემცირდა. შავი ზღვის საფრთხეებისა და გლობალური რეცესიის რისკის შემცირების ფონზე, რისკ-პრემიუმი იკლებს და შესაბამისად ფასებიც თანდათანობით მცირდება. დამატებით, ინდოეთში ხორბლის წარმოებამ შესაძლოა რეკორდულ 114 მილიონ ტონას მიაღწიოს, რაც თავისთავად რეგიონებში არსებულ დეფიციტს აღმოფხვრის. მეორეს მხრივ, ავსტრალიის ზოგიერთ რეგიონში მოსავალი მოულოდნელად გრძელმა წვიმების სეზონმა დააზიანა. ამასთან, ანალიტიკოსები ელიან რომ El Nino აგრო-პროდუქტების გლობალურ მიწოდებას 2024 წელს მნიშვნელოვნად შეამცირებს.

გრაფიკი 7: ამონიუმის ნიტრატის ფასი (შავი ზღვის რეგიონი), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 8: ხორბლის ფასი (Black Sea wheat Financially Settled Futures), აშშ დოლარი/ტონა



წყარო: ბლუმბერგი


გრაფიკი 9: აზოტოვანი სასუქების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



აზოტოვანი სასუქების ექსპორტის ღირებულება წლიურად 43.7%-ით შემცირდა 2023 წელს, რაც ფასების მკვეთრ კლებას უკავშირდება, რამეთუ ექსპორტის მოცულობა წლიურად მხოლოდ 2.6%-ითაა შემცირებული.

წყარო: საქსტატი

გრაფიკი 10: ხორბლის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ხორბლის იმპორტის ღირებულება წლიურად 11.0%-ითაა შემცირებული 2023 წელს, ხოლო მოცულობა 20.7%-ით გაიზარდა, რაც შემცირებული საშუალო იმპორტის ფასითაა გამოწვეული.

წყარო: საქსტატი



ლითონები და მადნები


სპილენძის მადნები და კონცენტრატები

2024 წლის იანვარში სპილენძის ფასი თვიურად 0.4%-ით გაიზარდა. მიუხედავად უმნიშვნელო ზრდისა, საინვესტიციო ფონდები სპილენძის აქციების ძლიერ ზრდას ელოდნენ, რაც 2024 წელს ნედლეულის დეფიციტით იქნება გამოწვეული. გაზრდილი მიწოდების მოლოდინი მნიშვნელოვანი დანაკლისის მოლოდინმა ჩააანაცვლა. Cobre Panama-ს დახურვამ, რომელიც მსოფლიო სპილენძის 1.5%-ს აწარმოებდა, ბაზარზე მიწოდება შეამცირა. დამატებით, ნედლეულის გიგანტის, Glencore-ს შედეგების პრეზენტაციაში 2023 წელს სპილენძის პროდუქციის შემცირება ჩანს და კიდევ მეტ შემცირებას ელოდნენ 2024 წლისათვის. ამ ინდუსტრიაში წარმოების სირთულის გათვალისწინებით, მინიმალური მიწოდების ზრდის მოლოდინის ფონზე, ფასების მნიშვნელოვანი ზრდაა მოსალოდნელი წლის განმავლობაში.


ფეროსილიკონი

2024 წლის იანვარში ჩინური ფეროსილიკონის ფასი არ შეცვლილა, ევროპულს კი თვიურად 13.8%-ით გაიზარდა. ევროპული ნედლეულისთვის ეს პოტენციურად ფასის ტრენდის ცვლილებას შესაძლოა ნიშნავდეს, მაგრამ ის კვლავ 23.8%-ით დაბლაა წინა წლის ნიშნულთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ ფასმა ზრდა გასული წლის დეკემბერში დაიწყო, რაც ქართული ფეროშენადნოების ექსპორტის ზრდაშიც აისახა. 2023 წლის დეკემბერში ექსპორტის ღირებულება წინა 11 თვის საშუალოსთან შედარებით დაახლოებით 2.4-ჯერ მეტი იყო.

გრაფიკი 11: სპილენძის ფასი (LME), აშშ დოლარი/ტონა




გრაფიკი 12: ფეროსილიკონის (75%-იანი სინჯი) ფასი, აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 13: სპილენძის საგარეო ვაჭრობა საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



გრაფიკი 14: ფეროშენადნოების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



სპილენძით საგარეო ვაჭრობის უდიდესი ნაწილი რეექსპორტია და გარე ფაქტორებზეა დამოკიდებული. ექსპორტირებული სპილენძის ღირებულება წლიურად 53%-ით შემცირდა 2023 წელს \$479 მლნ-მდე.

ფეროშენადნოების ექსპორტის ღირებულება წლიურად 60.7%-ით შემცირდა 2023 წელს, რაც ფასების მკვეთრი კლებით აიხსნება, რამაც მწარმოებლებს უბიძგა შემცირებინათ ექსპორტის მოცულობა.

წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიმართ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიმართ. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების, მრჩევლების მიერ არ გაყვამულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმეულს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გააღვიძოს მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობა.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ევა ბოჭორიშვილი | evabochoishvili@gt.ge

ეკონომისტი
ლაშა ქავთარაძე | lashakavtaradze@gt.ge

ანალიტიკური განყოფილების უფროსი
გიორგი ირემიშვილი | giremishvili@gt.ge

სექტორული კვლევების განყოფილების ხელმძღვანელი
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

სექტორის უფროსი
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

სექტორის უფროსი
თათია მამრიკიშვილი | tmamrikishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
გიორგი ცქიტვილი | g.tsikitishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
ზურაბ თაველიშვილი | ztavklishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
სერგი ყურაშვილი | s.kurashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
დაჩი მუჯირიშვილი | dmujirishvili@gt.ge

ანალიტიკოსი
მარიამ ოქროპირიძე | maokropiridze@gt.ge

ანალიტიკოსი
ოთარ ცუხიშვილი | otsukhishvili@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge